ᲛᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 97 (19539) ◆ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1986 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

24 **Ა�პᲠᲘᲚᲘ** გამართულ მორიგ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგები. კომუნისტური შაბათობა, რომელშიც 19 მილიონი კაცი მონაწილეობდა, საბჭოთა ადამიანების დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის, მათი იმ მისწრაფების ნათელი დადასტურება გახდა, რომ პრაქტიკული საქმეებით უპასუხონ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კომუნისტური შაბათობის შედეგებისა და გამომუშავებული სახსრების დანიშნულების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში.

პოლიტბიურომ მოისმინა ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ XXVII ყრილობის შედეგების განხილვის მიმდინარეობის მაკითხი და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყრილობის მიერ შემუშავებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გენერალურ ვეზს ყველგან მოლიანად უჭერენ მხარს შრომიმელები. პარტიული ყრილობის სულისკვეთება, მის გადაწყვეტილებათა დამრაზმველი ძალა სულ უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს პარტიის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაზე.

ამავე დროს პოლიტბიურომ უურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. მათს საქმიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი უნდა იყოს პრაქტიკული საქმეები, სახალხო-სამეურნეო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების კონკრეტული შედეგები. უნდა დავეხმაროთ თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას ზუსტად განსაზღვროს მუშაობის საკანონო გროლები, დროულად დაუჭიროს მხარი და განვითაროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, უზრუნველყოს ყველა იმ საკითხის ოპერატიული გადაწყვეტა, რომლებზეც დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობის ზრდა, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა.

პარტიულმა კომიტეტებმა საქმიანად უნდა მოაგვარონ პლენუმებსა და პარტიულ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაცია, პრინციპული შეფასება მისცენ კომუნისტებს, რომლებიც სიტყვით აღიარებენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, მაგრამ არაფერს აკეთებენ მათ გამოსასწორებლად, მტკიცედ უკუაგდონ ფორმალიზმი და ქაღალდმთხზველობა, უმთავრესი ძალები მოახმარონ საქმის ორგანიზაციას უშუალოდ შრომითს კოლექტივებში.

სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ. მასში გათვალისწინებულია დარგის მუშაობის ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში ძირეული ძვრების უზრუნველყოფის, მისი გამოშვების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებანი საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით. კიდევ უფრო განვითარდება გაერთიანებებისა და საწარმოების მართვის ეკონომიკური მეთოდები. წარმოების გეგმების ჩამოყალიბების საფუძველი გახდება ვაჭრობის შეკვეთები. განსაზღვრულია მსუბუქ მრეწველობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც თვალისწინებენ, კერძოდ, დიდი, საშუალო და წვრილი საწარმოების რაციონალური შეხამებას. მართვის რგოლიანობის შემცირებას, ახალი ტიპის საწარმოო და სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებების შექმნას. გათვალისწინებულია აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ ორგანიზაციის შესახებ. ასეთი კომპლექსის შექმნა საშუალებას მოგვცემს პრინციპულად ახალი პოზიციებიდან შევიდგეთ თვალის დაავადებისას მოსახლეობისადმი ქირურგიული დახმარების ძირეული გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრას, არსებითად გავზარდოთ ამ დახმარების მოცულობა და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი უკვე მიმდინარე ხუთწლედში.

მოისმინეს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის, ამხანაგ ე. ჰონეკერთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან საუბრების, რესპუბლიკის მშრომელებთან შეხვედრების შესახებ. პოლიტბიურომ მოიწონა დელეგაციის მუშაობა და გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენი პარტიებსა და სახელმწიფოების პოზიციები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხში. დიდად შეაფასეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორმხრივი მისწრაფება კიდევ უფრო გააღრმაონ ძმური თანამშრომლობა ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, სულიერ და სხვა სფეროებში სოციალისტური საზოგადოების განვითარების დაჩქარების, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

განიხილეს და მოიწონეს ამხანაგ ლ. ნ. ზაიკოვის ინფორმაცია იტალიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივანთან ა. ნატანთან დელეგაციის შეხვედრის შესახებ, რომლის დროსაც განიხილეს ორი პარტიის ურთიერთრთობის შემდგომი გაღრმავების მთელი რიგი საკითხები.

პოლიტბიურომ განიხილა პრემიერ-მინისტრის ი. კარლსონის მეთაურობით წარმოგზავნილ შვეციის მთავრობის დელეგაციასთან ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მოლაპარაკებისა და საუბრების შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენ ვისწრაფვით უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირისა და შვეციის სტაბილური, მეგობრული ურთიერთობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის, აგრეთვე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სადავო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებების პატივისცემისათვის გამიზნული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲗᲘᲒᲐᲕᲔᲜ ᲒᲐᲚᲐᲮᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠ. ᲚᲒ. ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ). რაიონის მექანიზატორებმა დაიწყეს ბალახის თიბვა. მომავალი გამოზამთრებისათვის საკვების დაგროვება რაიონში პირველად დაიწყო წორორის სახორცე მეძროხეობის საცდელი კომპლექსის საკვებმომპოვებელთა მეორე ბრიგადამ, რომელსაც გ. ნიკუაშვილი ხელმძღვანელობს. სათიბ მანქანებს შეუფერხებლად ამუშავებენ მექანიზატორები ე. ხოსიტაშვილი, ს. ბუზულუკაკი, ბ. შიხაშვილი, ი. მალცევი და სხვები.

სულ რაიონში წელს უნდა დამზადდეს 14.000 ტონა თივა და 30.000 ტონა სენაჟი. ამისათვის რაიონში ყველა პირობაა შექმნილი. მარტო მრავალწლოვანი ბალახები 11.000 ჰექტარზეა დათესილი.

* * *

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ. (საკ. კორრ.). რაფსის მოსავლის აღების რაიონში პირველი შეუდგა ბოლნისის საბჭოთა მეურნეობა. ჰექტარზე საშუალოდ ღებულობენ 100 ცენტნერზე მეტ მწვანე მასას, რაც ბევრად აღემატება საგეგმოს. ვიტამინებით მდიდარი ეს კულტურა მეურნეობას 70 ჰექტარზე უთესია, რაც მთლიანად უზრუნველყოფს მეურნეობის პირუტყვს მწვანე საკვებით აპრილსა და მაისში.

რაფსის მწვანე მასის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე არახლოს, სარაჩლოს, ფახრალოს საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲝ! ᲐᲨᲔᲜᲔᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ, ᲛᲐᲙᲘᲓᲠᲐᲓ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ!

ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲔᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲒᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ!

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორრ.). დამაჯერებელ შედეგებს აღწევენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები. მზადდება მეტი მაღალხარისხოვანი მანქანები, ბომინანქრებული სადენები, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო ნაწარმი, ავეჯი.

წლის დამდეგიდან ოლქის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა სამი მილიონი მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით ისახელეს თავი კვების მრეწველობის ჟშშაკებმა: ცხინვალის რძის, ქარხნის, პურკომბინატის, საკონსერვო ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის დავალებები და უმატეს შრომის ტემპს. დიდი შემართებით შრომობენ წლეულს კვაისის მაღაროთსამმართველოსა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებიც.

ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორრ.). დიდი წარმატებით ხვდება ე. მინდელის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს — პირველ მაისს. სკკპ XXVII ყრილობის ; გადაწყვეტილებათა პასუხად შახტში სრული სიმძლავრით ამუშავდა ახალი ქვანახშირის მომნგრევი მექანიზებული კომპლექსი, რომელმაც მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი ტონის ნაცვლად 2317 ტონა საოქსე ქვანახშირი მოანგრია. სათობის მექანიზირებული ამოღება გეგმასთან შედარებით 15,9 პროცენტით გადიდდა. ყველაზე სასიამოვნოა ის, რომ ახალი ტექნიკის დანერგვამ საგრძნობლად გაზარდა თითოეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება. ამ მაჩვენებელმა აქ 120,9 პროცენტს მიაღწია. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება კი მანეთითა და 18 კაპიკით შემცირდა. მარტო ამ გზით 61 ათასი მანეთი დაიზოგა.

საწარმოს ტექნიკური აღჭურვის პროცესი გრძელდება. აქ ახლა ამზადებენ კიდევ ერთ ლავს, სადაც მალე ქვანახშირის მომნგრევი მექანიზებული კომპლექსი გადაინაცვლებს. წლის დამლევამდე აქ ბევრი სხვა ღონისძიება განხორციელდება. ღრმა მიწისქვეშა ჰორიზონტზე დამონტაჟდება ქვანახშირის შუალედური ჩამტვირთავი ახალი მექანიზმი, რაც გაამარტივებს საშახტო ტრანსპორტის სქემას, დაიჩქარებს ვაგონების ბრუნვას. ეს ტექნიკური ღონისძიებები საშუალებას მისცემს შახტის კოლექტივს წლიური გეგმის გადამეტებით ნავარუდევი 2 ათასი ტონის ნაცვლად 4 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღოს.

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრ ე ს ი ს კარდინალური დაჩქარების პროგრამა დაკავშირებულია ყველაზე მოწინავე ტექნიკის, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების ფართო დანერგვასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ უდიდეს მწარმოებლობას და ეფექტიანობას. ამ საკითხებს დაუთმეს ძირითადი ყურადღება ჟამმოგზებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად რუსეთის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მეშვიდე პლენუმის მონაწილეებმა. პლენუმი 23 აპრილს გაიმართა მოსკოვში.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ნოვატორთა მრავალმილიონიანმა არმიამ სახალხო მეურნეობაში და კრიტიკულად გაანალიზეს სრულიად რუსეთის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მუშაობის სტილისა და მეთოდების მტკიცე გარდაქმნა, რომელთა მიზანია გამომგონებლობისა და სპეციალიტეტ საქმის სრულყოფა, წარმოებაში სიახლეთა დანერგვის დაჩქარება.

(საკდისი).

26-27 ᲐᲠᲘᲚᲘ ᲑᲐᲚ-ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის სოფელ მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მესამე წელია კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას სათავეში უდგას ახალგაზრდა კომუნისტი ირაკლი ჭრელაშვილი. ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულია 25 წევრი, 26 ჰექტარ ვენახს უვლის. აქ ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. ამჟამად ბრიგადის წევრებმა დროულად დამთავრეს ვაზის მოვლითი სამუშაოები და მეურნეობის სხვა ბრიგადებს ეხმარებიან ვაზის აკვრაში, თითოეული მათგანი ყოველდღიურად 250 ძირის ნაცვლად 450-500 ძირს აკრავს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: ბრიგადის მოწინავე წევრი კომკავშირელი ლია ჯაბიშვილი.

Გ. ᲑᲔᲜᲖᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲘᲖᲛᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანების ჯანმრთელობის გაკაეება, მათი აქტიური ცხოვრების გახანგრძლივება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკის უპირველესი ამოცანაა. ქვეყნის კომუნისტთა XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თითოეული ადამიანისათვის, და არსებობად საზოგადოებისთვისაც, არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის დაცვაში განმსაზღვრელი როლი განეკუთვნება შრომისა და ყოფის პირობებს, იგი დამოკიდებულია ადამიანთა კეთილდღეობის დონეზე. მაგრამ, ამასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო ჯანმრთელობის დაცვას.

პარტიის სწორედ ამ მითითებათა საფუძველზე უნდა წარმართავდეს მუშაობას საქართველოს მედიკოსთა მრავალათასიანი რაზმი მიმდინარე და მომდევნო ხუთწლედებში. ეს აღნიშნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის თბილისში გამართული გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მოისმინეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბ. ლეჟავას მოხსენება.

კამათში მონაწილეობდნენ აჭარის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ. ციკვაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ა. ასათიანი, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ე. ჯიოევი, გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ვ. ბეთლემიძე, ბოგდანოვკის რაიონის მთავარი ექიმი ა. პოდლოსიანი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი ბ. აბესაძე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი ს. ხეჩინაშვილი, ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი დ. გაგუა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პარტბიუროს მდივანი მ. კობეშავიძე, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ზურაბაშვილი.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ი. ისაკოვი.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

კომუნისტური პარტია, აღინიშნა ორატორთა გამოსვლებში, სახავს ამოცანას მივაღწიოთ იმას, რომ ყველგან და სრულად კმაყოფილდებოდეს ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი, კარდინალურად ავამაღლოთ მისი ხარისხი. ამ მიზნით გათვალისწინებულია შემოვიღოთ მოსახლეობის ხაყოველთაო დისპანსერიზაციის სისტემა, განვავითაროთ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და მოწყობილობით აღჭურვილი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების ქსელი, მთლიანად უზრუნველყოთ წამლებზე ადამიანთა მოთხოვნილებანი. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ თითოეული ადამიანი ზრუნავდეს თავისი ფიზიკური სრულყოფისათვის, ჰქონდეს ცოდნა ჰიგიენისა და სანიტარიის დარგში, ეწეოდეს ჯანსაღ ცხოვრებას.

ორატორები შეეხნენ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკაში სამედიცინო დახმარების განვითარებასა და სრულყოფაში მოპოვებულ მიღწევებს, ილაპარაკეს დადებითი ძვრების შესახებ მოსახლეობის ჯანმრთელობის დამახასიათებელი მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით. განმტკიცდა სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მათი დაკომპლექტება ექიმების, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის კადრებით.

ამავე დროს სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს, ნეგატიურ ტენდენციებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა რესპუბლიკაში ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, პარტიის მითითებებს. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ პირდაპირ აღნიშნა, რომ მოსახლეობის, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობის, მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან სამედიცინო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამკურნალწამლო დახმარებაზე ჯერ კიდევ საკმარისად არ კმაყოფილდება. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს საამბულატორიო მომსახურება, ჩამორჩება დიაგნოსტიკის მეთოდები, საყვედურს იწვევს მთელი რიგი სამედიცინო დაწესებულებების, კლინიკური პროფილის ინსტიტუტებისა და კათედრების საქმიანობა.

ამასთან დაკავშირებით კოლეგიაზე მწვავედ დააყენეს ის საკითხი, რომ რესპუბლიკაში მატულობს მცხოვრებთა რიცხვი, რომლებიც საკონსულტაციოდ და სამკურნალოდ მიდიან მოსკოვსა და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების კლინიკებში. თანაც ეს წასვლა ძვირი უჯდებათ, უჭირთ იქ ბინის შოვნა. შეიძლებოდა დაგვემოწმებინა ის, რომ ისეთ პატარა რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენია, ძნელია მუშაობის თანაბრად მაღალი დონის უზრუნველყოფა პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის ყველა დარგში. მაგრამ ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავადმყოფები დახმარებას ეძებენ მედიცინის სწორედ იმ დარგებში, სადაც რესპუბლიკაში არის კარგი ტრადიციები და გვარიანი ბაზა. მთელ რიგ შემთხვევებში შეიმჩნევა ტენდენციური, ზოგიერთი ავადმყოფისა და მათი ახლობლების წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულება რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურებისადმი. მაგრამ, სამწუხაროდ, არის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც. მაგალითად, რესპუბლიკის მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კლინიკური კათედრები, სპეციალიზებული ცენტრები აშკარად არ მუშაობენ მთელი თავიანთი შესაძლებლობებით. უფრო მეტიც, მედიცინის ზოგიერთ დარგში კარგავენ მოპოვებულ პოზიციებს. სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჯერ კიდევ საკმაოდ ენერგიულად არ ინერგება ავადმყოფთა გამოკვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის ახალი მეთოდები.

რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფებს ესაჭიროებათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მკურნალობა. მაგრამ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უფრო საგნობრივად უნდა გაერკვეს მოსკოვში, სხვა ქალაქებში თითოეული წასვლის მიზეზებში. უურადღებით უნდა შეეისწავლოთ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკა, დავსახოთ მათი საქმიანობის გაუმჯობესების, ავტორიტეტის ამაღლების კარდინალური ღონისძიებანი, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უფრო კონკრეტულად უნდა მოვკიდოთ ხელი მოსახლეობაში სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საკითხებს, პროპაგანდა გავუწიოთ საუკეთესო მედიკოსთა გამოცდილებას, ქართული მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებს.

ამასთან დაკავშირებით სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამედიცინო კადრების მომზადების პრობლემას. რესპუბლიკაში ყველა სპეციალობის 30 ათასამდე ექიმია, და ექიმთა კადრებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც კი. ამავე დროს გვაქვს რაიონები, სადაც ექიმებით დაუკომპლექტებლობა 30-60 პროცენტს შეადგენს. ექიმთა ბევრი ადგილია დაუკავებელი ქუთაისში, გაგრაში, წყალტუბოში, ბევრ სხვა საკურორტო ზონაში. თბილისშიც კი გვაქვლია მთელ რიგ სპეციალობათა ექიმები. ხოლო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ყოველწლიურად ათასზე მეტ სპეციალისტს უშვებს.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲕ.)

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛ�პᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

25 **ᲐᲪᲠᲘᲚᲘ** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრს, გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ პოლიტიკურ დირექტორს რ. ლეროუს, რომელიც მეუღლითურთ იმყოფება საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

საუბრისას ჯ. ი. პატიაშვილმა სტუმარს გააცნო სოციალისტური მშენებლობის წლებში მიღწეული რესპუბლიკის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნები, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მშრომელების ცხოვრებისა და საქმიანობისათვის სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების, რესპუბლიკის კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

დღეს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა პარტიის ყრილობის იმ ახალი დიდი მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა მიზანია საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაჭრით დაჩქარება. ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა შეხვედრაზე, რესპუბლიკის კომუნისტთა წინაშე დგას საკადრო პოლიტიკის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, შემოქმედებითი ძიების, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნის პასუხსაგები ამოცანები. წარმოების ინტენსიფიკაციაში, 2000 წლისათვის რესპუბლიკაში ეკონომიკური პოტენციალის გაორკეცების საკვანძო ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფას იმ გამომდგარი ექსპერიმენტების განვითარების საფუძველზე, რომლებიც მიმდინარეობს აგროსამრეწველო კომპლექსის, ინდუსტრიული წარმოების ცენტრალიზებული დაგეგმვის შეხამებისა და ადგილობრივი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების უფლებათა გაფართოების სფეროში.

შეხვედრაზე შეეხნენ პარტიის სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების თანამიმდევრული განხორციელების — ადამიანთა შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, საბინაო პრობლემის გადაჭრის, ჯანმრთელობის დაცვის, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, კულტურული მომსახურების სისტემის სრულყოფის საფუძველზე ადამიანის ფაქტორის გააქტიურების აქტუალური საკითხებს. სტუმრებს უამბეს, თუ როგორ წყდება დღეს მრავალეროვანი რესპუბლიკის პირობებში ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის, ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის — საქართველოს სსს რესპუბლიკის, მის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სხვა მრავალეროვანი რეგიონ ე ბ ი ს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ამ მძლავრი ფაქტორის — შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

რ. ლერუმ დიდი მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის,

ცვლილებათა პრიზმით

(დასასრული)

მაშ, რა ხდება? თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „პრესტიჟული“ უმაღლესი სასწავლებელი გახდა. ბევრი ახალგაზრდა შედის აქ არა მოწოდებით, არამედ იმიტომ, რომ ამ სასწავლებელში სწავლა „მოდად“ იქცა. უნდა სრულყოთ მისაღები გამოცდების სისტემა ამ უმაღლეს სასწავლებელში, რათა აქ შემოდიოდეს ახალგაზრდობა, რომელმაც შეგნებულად აირჩია ესოდენ რთული და კეთილშობილური საექიმო საქმე. არანაკლებ საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა სკოლის მოსწავლეთა პროფორიენტაციისათვის, რომელიც ბევრად უკეთესი უნდა იყოს.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მივაპყროთ ახალგაზრდა მედიკოსთა მომზადების ხარისხს, გადაჭრით ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის დონეც, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსი. უაღრესად საჭიროა მოვამზადოთ მომავალი ექიმები დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის, მივაჩვიოთ ისინი ამას უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა უფრო აქტიურად უნდა დაინტერესდეს კურსდამთავრებულთა ბედით, განაწილების ადგილზე მათი ცხოვრებისა და ყოფის პირობებით. იშვიათი ხომ არ არის, რომ უბინაობის გამო ახალგაზრდა ექიმები არ რჩებიან იქ, სადაც მათ ანაწილებენ. მათ არ აძლევენ სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებში აღნიშნულ შეღავათებს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ, მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნა ადამიანს შეაგუებს ახალ ადგილს, აახლოებს ახალ ადამიანებთან და ბევრ რამეს ავალებს.

მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დონის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული ექიმთა კადრების კვალიფიკაციის მუდმივ ზრდაზე, რასაც ხელს შეუწყობს მათი პერიოდული ატესტაცია. რესპუბლიკაში მიმდინარე ატესტაციამ ცხადყო, რომ მედიკოსთა პროფესიული მომზადების დონე ჩვენში საშუალო საკავშირზე დაბალია.

უკვე დღეს გამოვლინდა უმაღლესი განათლების მქონე ასზე მეტი ექიმი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, მაშინ როცა მთლიანად ქვეყანაში ასეთი ექიმი რვაასზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. საფიქრალი ბევრი აქვთ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობას!

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გადაიჭრას მედიცინის მეცნიერების გაახალგაზრდავების პრობლემა. არ უნდა ვურიგდებოდეთ იმას, რომ სწავლულ მედიკოსთა საშუალო ასაკი წლითიწლობით მატულობს და დღეს რესპუბლიკაში 59 წელს შეადგენს. უნდა ვიცოდეთ, თუ როგორია მოთხოვნილება მეცნიერთა ყადრებზე მედიცინის დარგში, აღმოვფხვრათ დისპროპორცია მედიკოსთა კადრების სამეცნიერო მომზადების ახლანდელ დონესა და პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნათა შორის. ამასთან სასურველია ეს უახლოეს დროში განვახორციელოთ.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებანი ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუჯობესებისათვის, რომელიც კვლავ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს. სკკპ XXVII ყრილობაზე რესპუბლიკა სერიოზულად გააკრიტიკეს საკავშირო კომუნისტურ შაბათობებზე გამომუშავებული სახსრების აუთვისებლობისათვის, რომლებიც მოხმარდა სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების შენებლობას. ეს ითქვა ყრილობისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარსა სასჯელიც კი ჩვენთვის თვითმიზანი არ არის, იგი მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის ფორმაა. და ჩვენთან, თვითკრიტიკულად უნდა ვთქვა, ჯეროვნად ვერ ვიყენებთ მას, მუდამ ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ სასჯელის მიღების შემდეგ 12 კომუნისტი მეორედ, ხოლო ზოგიერთი მესამედაც დაისჯა.

ცნობილია, რომ ეკონომიკის მართვაში ყრილობამ განსაკუთრებული როლი მიანიჭა კოლექტიურობის პრინციპის შემდგომ განვითარებას და დაჩვეწა. აქ, თქვა მან, უპირველესად გვჭირდება ძირეულ რგოლებში პარტიულთა პრინციპულობისა და გულახდილობის ვითარების შექმნა, რისთვისაც ვიყენებთ კომუნისტების ანგარიშების მოსმენისა და მათი დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკას.

პარტიულ-ორგანიზ ა ტ ო რ უ ლ ი, იდეოლოგიური და სამეურნეო მუშაობის ურთიერთშერწყმის ამოცანა მივიჩნიეთ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — კომუნისტთა საქმიანობის ავ-კარგის შეფასების მთავარ კრიტერიუმად, ამგვარმა მიდგომამ უწინარესად პარტიის რაიკომის მუშაკთა პარტიული დახასიათებების დამტკიცებისას იჩინა თავი. მაგალითად, ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიუროზე ბარუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში შეფასდა ინსტრუქტორ ვ. ცუხიშვილის მიერ საკურორტო ზონაში გაწეული მუშაობა. ამ საქმეს დიდი პრინციპულობით რომ ვეკიდებით, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დღემდე დამტკიცებული 264 დახასიათების დროს 70 კომუნისტს დაედო პარტიული სასჯელი, მათ შორის ორი პარტიის რიგებიდან გაირიცხა.

აქვე უნდა აღინიშნოს, თქვა მან, რომ მხოლოდ დახასიათებათა დამტკიცებისას კი არა, საერთოდ ვეცდილობთ შევქმნათ ყოველგვარ მანკიერებასთან შეურიგებლობის ატმოსფერო, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული კომიტეტი სულ მცირე დანაშაულსაც არ ტოვებენ ურეაგირებოდ. მარტო შარშან სხვადასხვა დარღვევისათვის 107 კომუნისტს დაედო პარტიული სასჯელი, 9 კაცი გაირიცხა პარტიის რიგებიდან. მაგრამ ყველაზე მკაცრი სასჯელიც კი ჩვენთვის თვითმიზანი არ არის, იგი მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის ფორმაა. და ჩვენთან, თვითკრიტიკულად უნდა ვთქვა, ჯეროვნად ვერ ვიყენებთ მას, მუდამ ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ სასჯელის მიღების შემდეგ 12 კომუნისტი მეორედ, ხოლო ზოგიერთი მესამედაც დაისჯა.

ცნობილია, რომ ეკონომიკის მართვაში ყრილობამ განსაკუთრებული როლი მიანიჭა კოლექტიურობის პრინციპის შემდგომ განვითარებას და დაჩვეწა. აქ, თქვა მან, უპირველესად გვჭირდება ძირეულ რგოლებში პარტიულთა პრინციპულობისა და გულახდილობის ვითარების შექმნა, რისთვისაც ვიყენებთ კომუნისტების ანგარიშების მოსმენისა და მათი დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკას.

პარტიულ-ორგანიზ ა ტ ო რ უ ლ ი, პარტიულ მუშაობაში წინა პლანზე წამოიწია პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობამ. ითქვა, რომ ბევრგან შესუსტდა დისციპლინა, ზომთხოვნელობა, ადამიანებზე ზრუნვა.

აღინიშნა, რომ ძველი მეთოდებით და მიდგომით ახალ ამოცანებს ვერ გადაეწყვეტთ, საჭიროა გარდაქმნა დავიწყოთ თვით ადამიანით. დღეს აღარ კმარა სიტყვიერი განცხადებანი, რომ მხარს უჭერენ პარტიის გეგმებს. აუცილებელია პრაქტიკული საქმეებ მათ შესასრულებლად, საჭიროა ახლებური მუშაობა. პარტიული ორგანიზაციების საქმიანობ ი ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა, ბრძოლა კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან, ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში შემორჩენილ ნეგატიურ გადმონაშთებთან. ითქვა, რომ ამ ბოლო წლებში მართალია დიდი მუშაობაა გაწეული, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საფუძველს. კონფერენციაზე მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, წამოაყენეს კერძომესაკუთრულ მისწრაფებათა დაძლევის კონკრეტული გზები.

კონფერენციის მონაწილეებმა — საქართველოს კომპარტიის ჟიათურის საქალაქო კომიტეტის სორგანიზაციო განყოფილების გამგემ ი. ჭიოლაძემ, „ჟიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორმა კ. ჭუჭლიშვილმა, „ჟიათურმანგანუმის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კაპანაძემ, საირხის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. კაპანაძემ, პარტიის საჩხერის რაიკომის მდივნებმა ხ. კიპაროიძემ, თ. გაგნიძემ, ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქტორმა გ. გოგიაშვილმა და სხვებმა ისაუბრეს საწარმოო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების აუცილებლობაზე, პარტიული ინფორმაციის მნიშვნელობასა და სხვა საკითხებზე.

კონფერენციამ სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა საფუძველზე კრიტიკულად გააანალიზა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში გაწეული მუშაობა და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს პარტიული მუშაობის ეფექტიანობას.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

განუხრელად ვილვაწოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის!

გარდაქმნა ადამიანით უნდა დავიწყოთ

რა არის საჭირო სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებისათვის, თანამედროვე პირობებში პარტიული მუშაობის ფორმების, სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ? — აი ძირითადად ამ საკითხებს მიეძღვნა ახლახან საჩხერეში ჭიათურისა და საჩხერის პარტიკომი აქტივისათვის გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა, გაზეთ „კომუნისტის“ და ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქციებმა, პარტიის საჩხერის რაიონულმა და ჭიათურის ქალაქის კომიტეტებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორმა შ. პაპიძემ.

ამავე უნივერსიტეტის პარტიული მშენებლობის კათედრის გამგის პროფესორ ვ. ქარუმიძის მოხსენება მიეძღვნა პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდისა და თანამედროვე პირობებში პარტიული მუშაობის ამოცანების სრულყოფის საკითხებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე ეტაპზე პარტია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეურ-თეორიული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობას, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, წამოჭრილი პრობლემების ეფექტიანი გადაჭრის გზების შემოქმედებითს ძიებას.

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა ა. ხოფერიამ, კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარა ამ დიდ ფორუმზე მიღებული შთაბეჭდილებები, ისაუბრა ყრილობის გადაწყვეტილებათა, მის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. ბერიძემ თავისი გამოსვლა მიეძღვნა ორგანიზატორული მუშაობის ფორმების, სტილისა და მეთოდების სრულყოფის საღღეისო მოთხოვნებს, აღნიშნა, რომ ამ მხრივ სერიოზული მუშაობა და გარდაქმნა საჭირო. აქ, თქვა მან, უპირველესად გვჭირდება ძირეულ რგოლებში პარტიულთა პრინციპულობისა და გულახდილობის ვითარების შექმნა, რისთვისაც ვიყენებთ კომუნისტების ანგარიშების მოსმენისა და მათი დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკას.

ორგანიზ ა ტ ო რ უ ლ ი, საწარმოებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მედიცინის ყველა მუშაკი მოვალეა არა მარტო ჩადგეს ამ მოძრაობის მონაწილეთა პირველ რიგებში, არამედ წარმართოს კიდეც იგი, იყოს მისი გამტარებელი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

ამ მნიშვნელოვან საქმეში რესპუბლიკის მრავალი მედიკოსი შეიძლება სამაგალითო, მიბაძვის ღირსი იყოს. ამ ფონზე განსაკუთრებით შეუწყნარებელია შემრიგებლობა, საშინელი სოციალური ბორკტების — ნარკომანიისადმი იმათი გულგრილი დამოკიდებულება, ვინც მოწოდებულია იბრძოლოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. სხდომის მონაწილეებმა ამასთან დაადასტურეს, რომ მედიცინის მუშაკთა შორის არიან ამ ბოროტების აშკარა ხელშემწყობნი, რომლებიც ხელს ითბობენ ამაზე. აქ საჭიროა ყველაზე მტკიცე ღონისძიებანი. რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობამ უფრო აქტიურად უნდა იბრძოლოს იმათ წინააღმდეგ, ვინც არცხვენს საბჭოთა ექიმის მაღალ წოდებას, მთელი ხმით განაცხადოს, რომ ასეთ ადამიანს არა აქვს უფლება ექიმობისა. კოლეგიის მონაწილეთა აღფოთება გამოიწვია სხდომაზე მოყვანილმა ფაქტმა, რომელიც მოხდა თბილისის სასწრაფო დახმარების სადგურში. ზოგიერთი მისი თანამშრომელი მალავდა ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის განკუთვნილ ნარკოტიკულ სამკურნალო საშუალებებს, რათა შემდეგ ნარკომანებისათვის მიეყიდა. ეს შემთხვევა, აღინიშნა კოლეგიის სხდომაზე, ყველა სამედიცინო დაწესებულების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. და უეჭველია მათი კოლექტივები ჯეროვან შეფასებას მისცემენ ამ სამარცხვინო მოვლენას.

კოლეგიის სხდომაზე წამოიჭრა მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების შემდგომი სრულყოფა, მედიცინის მუშაკთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესება, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამედიცინო კვლევის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა მრავალთასიანი რაზმის სახელით კოლეგიის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ კონკრეტულ საქმეებით დაამტკიცებენ თავიანთ მისწრაფებასა და უნარს, იშრომონ ახლებურად, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ წამოყენებული მოთხოვნებისა და ამოცანების სულისკვეთებით.

(საქინფორმი)

● საბერძნეთ-ავსტრალია

პრემიერთა მოლაპარაკება

ათენი. საბერძნეთის მთავრობის მოწვევით აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავსტრალიის კავშირის პრემიერ-მინისტრი რობერტ ჰოუკი.

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ ორი ქვეყნის მთავრობათა ხელმძღვანელების მოლაპარაკების დროს, ორმხრივი ურთიერთობის საკითხების განხილვის გარდა, დიდი ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ საბერძნეთისა და ავსტრალიის პოზიციები მშვიდობის დაცვის საქმეში ერთნაირია. ისინი აკრიტიკებენ „ვარსკვლავეთის ომების“ ამერიკულ პროგრამას, მხარს უჭერენ პლანეტის სხვადასხვა რაიონში უბრალო ზონების შექმნას.

„პრავდა“ დანიურ ენაზე

● კოპენჰაგენი. დანიის მცხოვრებთ შესაძლებლობა მიეცათ დანიურ ენაზე წაიკითხათ გაზეთი „პრავდა“ — იგი გასაყიდად გამოიტანეს კიოსკებში. ჟურნალისტთა ჯგუფის ინიციატივით 50 ათასი ცალი ტირაჟით გამოსაცემად მომზადდა საბჭოთა გაზეთის 11 აპრილის ნომრის ზუსტი ასლი.

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, პუბლიკაციის იდეა წარმოშვა საფრანგეთის გამოცდილების საფუძველზე, სადაც ამა წლის დამდეგიდან გაყიდა ფრანგულ ენაზე გამოცემული „პრავდის“ 1,5 მილიონი ეგზემპლარი.

ამ გაზეთის შესახებ ყოველდღე გვესმის, თქვა ერთერთმა ჟურნალისტმა, რომელიც „პრავდის“ გამოცემაში მონაწილეობდა, მაგრამ არც ერთმა დღემდე არ ვიცოდით მისი ნამდვილი მნიშვნელობა, ვინაიდან გაზეთის მასალების არსს დასავლეთის პრესა დამახინჯებულად აწვდიდა მკითხველს. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ ერთმანეთის აზრი. ეს აუცილებელია დედამიწ ა ზე მშვიდობის დასაცავად, ხაზგასმით აღნიშნა მან.

25 აპრილი ● საქმესი იუწყება

ეროვნული ინფორმაცია

ფაქტები • მოვლენები

უშიშროების საბჭოში

აღიკვეთოს ცინიკური აგრესია!

განახლდა ლიბიაზე შეერთებული შტატების ქარაღური თავდასხმის განხილვა

ნიუ-იორკი. უშიშროების საბჭომ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობისათვის ჩამოვიდა მიუმხრობლობის მოძრაობის სპეციალური დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ხუთშაბათს განაგრძო ლიბიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ბანდიტური შეიარაღებული თავდასხმის განხილვა.

მიუმხრობლობის მოძრაობის სახელით გამოვიდა დელეგაციის მეთაური, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბალი რამ ბჰაგატი. მან თქვა, რომ მიუმხრობელი სახელმწიფოები გულისწყრომით გმობენ ამერიკის აგრესიას სუვერენული ლიბიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა.

შეერთებული შტატების ცინიკურმა აგრესიამ ლიბიის წინააღმდეგ დამაჯერებლად ცხადყო, რომ „საერთაშორისო ტერორიზმის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია“, განაცხადა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიდორო მალმიერკამ. მან აღნიშნა, რომ ღამით განხორციელებული თავდასხმა მორიგი რგოლია თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ იმპერიალიზმის დანაშაულობათა ჯაჭვში. ამ დანაშაულობებს სჩადიან ან უშუალოდ შეერთებული შტატები, ან მისი „პრივილეგიური“ პარტნიორები — სამხრეთ აფრიკელი რასისტები და სიონისტი აგრესორები.

მიუმხრობელი ქვეყნები მტკიცედ მოითხოვენ უშიშროების საბჭომ შეასრულოს თავისი მოვალეობანი და მიიღოს ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილოთ ლიბიაზე ამერიკის თავდასხმის მსგავსი აგრესიის „განმეორება, მკაცრ დავმობას რომ იმსახურებს, თქვა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანმა რაიფ დიზდარევიჩმა.

ლიბიელი ხალხის სახელით ამ ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პ. თრეიკიმ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის.

ვაშინგტონის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის მკაცრმა დაგმობამ სხდომაზე აშკარად გააღიზიანა შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. უოლტერსი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კედლებში უპრეცედენტო უხეშობით იგი თავს დაესხა როგორც ცალკეულ მოუმხრობელ ქვეყნებს, ისე მთლიანად მიუმხრობლობის მოძრაობას.

ამასთან იგი უტიფრად ემუქრებოდა მიუმხრობლობის მოძრაობას, შეერთებული შტატები „არ დაივიწყებს“ უშიშროების საბჭოში სპეციალური დელეგაციის წევრთა გამოსვლასო. ამავე მანერით იყო წარმოთქმული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლისის მუდმივი წარმომადგენლის ჯ. ტომსონის სიტყვაც.

მათმა გამოსვლებმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულება მიუმხრობლობის მოძრაობის მიზნებისა და მისწრაფებებისადმი. ამას, კერძოდ, ყურადღება მიაპყრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბული ქვეყნების ლიგის მუდმივმა მეთვალყურემ კ. მაქსუდმა, რომელმაც განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებს, უწინარესად შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, არ სურთ დამონ „პოლიტიკური და ინტელექტუალური ჰეგემონობის განსაკუთრებულ უფლებებზე“ პრეტენზიები, ისწრაფვიან მსოფლიოს თავს მოახვიონ ქცევის ისეთი კრიტერიუმები, რომლებითაც „სხვებს განსჯიდნენ“.

● ბაგრეინი (ბოტანდია), ბოტსვანის ეროვნული ინფორმაციის სააგენტოდან

მოკლედ

● აბერდინი (შოტლანდია), შოტლანდიის ტრადიციონალისტთა კონგრესის აქ მიმდინარე ყოველწლიური ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად დაგმეს კონსერვატორთა მთავრობის კურსი. მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას მოისპოს ყველა ბირთვული ბაზა, გაიტანონ დიდი ბრიტანეთის კუნძულებიდან მთელი ბირთვული იარაღი, მათ შორის ამერიკული ფრთოსანი რაკეტები.

● ტოკიო. ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობ ი ს, წუნარ ოკეანეში ბირთვული ი ა რ აღისგან თავისუფალი მშვიდობის ზონის შექმნის საკითხებს მიეძღვნა აზიაწუნარი ოკეანის რეგიონის ანტებირთვულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საერთაშორისო კონფერენცია. იგი გაიხსნა ქალაქ ნანაში ოკინავაზე.

● დელი. ინდოელმა მესაზღვრეებმა აღკვეთეს პაკისტანის დივერსიული ჯგუფის ცდა შეჭრილიყვნენ ინდოეთის ტერიტორიაზე პენჯაბის შტატის რაიონში. ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, შეტაკების დროს ორი დამრღვევი მოკლეს.

ფოტოკადრი ამხილებს

სურათებზე: ამერიკული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი ფ-111 აფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების აპერ-ჰეიფორდის ბაზიდან (დიდი ბრიტანეთი) და კურსი აიღო ლიბიისაკენ, რათა ავაზაკურად თავს დასხმოდა მას; ლიბიის დედაქალაქის დაბომბვის შედეგი.

რეიტერ-საქდესის ფოტო.

პრესა ადასტურებს

კვლავ ამწვავებენ დაძაბულობას ლიბიის ნაპირებთან

ვაშინგტონი. დაადგა რა სუვერენული ლიბიის საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის კურსს, რეიგანის ადმინისტრაცია კვლავ განაგრძობს ამ ქვეყნის ნაპირებთან სამხედრო ძალიერების პროვოკაციულ დემონსტრაციას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო იტყობინება, იმოწმებს რა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ავიამზიდ „ამერიკაზე“ ბაზირებული ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები პრაქტიკულად განუწყვეტლივ დასტრიალებენ თავს ლიბიის სანაპიროს. ჰაერში დაფრინავენ გამანადგურებელი ბომბდამშენები, აგრეთვე სპეციალური მზვერავი თვითმფრინავები. ისინი აღჭურვილი არიან ელექტრონული მოწყობილობით, რომელიც საშუალებას აძლევთ შეაგროვონ მონაცემები ლიბიის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტის შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ თეთრი სახლისა და პენტაგონის ოფიციალური მოღვაწენი საჯაროდ უარყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს რაიმე სამხედრო საქმიანობას ლიბიის წინაღმდეგ.

ასოშიეიტედ პრესის ცნობები ცხადყოფს, რომ ლიბიის დაბომბვით გაბრუებული ამერიკელი აგრესორები ახლა ამ რეგიონში თავხედურად მოქმედებენ და არღვევენ არსებულ საერთაშორისო ნორმებს. მაგალითად, ასოშიეიტედ პრესი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აცნობოს ავიაფრენის მარეგულირებელ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს ლიბიის ნაპირებთან საჰაერო სივრცეში. თავისი მოქმედების შესახებ. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხახს უსვამს ასოშიეიტედ პრესი, უარი თქვა ასეთ პრაქტიკაზე. ამით იგი საფრთხეს უქმნის სხვადასხვა ქვეყნიდან სამოქალაქო ავიაფრენას, რომლის მარშრუტები გადის მთელი მსოფლიოსათვის ამ დიდ მნიშვნელოვან ახლო აღმოსავლეთის რეგიონის საჰაერო სივრცეზე. „ამ რეგიონში ვაპირებთ ვიმოქმედოთ, როცა მოგვესურვება“, — მოჰყავს ასოშიეიტედ პრესს დაუსახელებელი ვაშინგტონელი მოღვაწის ცინიკური განცხადება.

განმარტავენ რა ამ ცინობას ამერიკის ავიაციის ფრენის შესახებ, აღგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იგი დაკავშირებულია ჰაერიდან ლიბიაზე ახალი დარტყმის მომზადებასთან. ასეთი შესაძლებლობის შესახებ მრავალგზის განუცხადებია თავად პრეზიდენტ რეიგანს.

ასოშიეიტედ პრესი იტყობინება ავრეთვე, რომ მეორე ამერიკულმა ავიამზიდმა „ჯორალ სიმ“, რომელიც მონაწილეობს ლიბიის წინაღმდეგ აგრესიაში, დაამთვრა ნეაპოლში (იტალიაში) ყოფნა და კვლავ ხმელთაშუა ზღვაში გავიდა. საააგენტოს მონაცემებით, პენტაგონმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება „განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით დატოვოს ამ რეგიონში ავიამზიდების ორი შენაერთი, მაშინ, როცა იქ ჩვეულებრივად ერთი ამერიკული ავიამზიდი იმყოფებოდა ხოლმე.

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა შეერთებული შტატების სავაჭრო პალატაში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ჩამოაყალიბა ძირითადი თემები და დღის წესრიგი შვიდი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მორიგი ყოველწლიური ეკონომიკური თათბირისა, რომელიც გაიმართება ტოკიოში.

პრეზიდენტის გამოსვლა ცხადყოფს: ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აპირებს მთავარი მეცადინეობა მოახმაროს იმას, რომ პრაქტიკულად განაზორციელოს ეს ვადა მიმართულებით ყბადაღებული „ნეოგლობალიზმის დოქტრინა“, რომელიც, ითვალისწინებს სხვა ქვეყნების საქმეებში უხეშ ჩარევას და ძალისმიერ დიქტატს საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზნით ვაშინგტონს განზრახული აქვს, მიაღწიოს, ერძოდ, დასავლეთის ქვეყნების მეცადინეობის კოორდინაციას „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბაბით, რომლითაც, როგორც ცნობილია, ოკეანისგაღმა ნიღბავენ შეიარაღებული თარეშისა და სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას. პრეზიდენტმა აშკარად განაცხადა, რომ „ნიმუში“ იმისა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს ნეოგლობალიზმის პოლიტიკა, არის ამერიკის ავიაციის მიერ ტრიპოლისა და ბენგაზის საცხოვრებელი უბნების ამასწინანდელი ბანდიტური დაბომბვა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიან მოსახლეობაში, მაგრამ, ხაზი გაუსვა რეიგანმა, „ცალმხრივი აქციები საკმარისი არ არის. ამას ხელი უნდა მოვკიდოთ ერთად, რის შესახებაც საუბარი გვექნება ტოკიოში“. რეიგანი შეეცდება შეაკოწიწოს ნეოგლობალიზმის ინიციატორ ქვეყნის სახელმწიფოთა ან მთავრობათა ერთიანობა ამ ამოცანის ერთ-ერთ ტაბულად ცალკეულ ადამიანთა ბედზე ზრუნვა. ეს ეხება ბავშვებს, ინვალიდებს, ხანდაზმულ ადამიანებს, ოჯახებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, ენერგეტიკას, ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ ინფორმაციას,

რომ თქვენ: რა ხელმა აააგო!

დიდი მასშტაბის გარდაქმნებისა და განახლების მოთხოვნები, რომლებიც ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის დოკუმენტებშია მოცემული, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის საკითხების ერთ-ერთი მიზეზი მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ სხვა მიზეზებიც არსებობს. ზოგჯერ გენერალური გეგმის პარამეტრები, ამოსავალი მონაცემები ძალზე შორდება რეალობას.

საქართველოს ქალაქებში აიგო მრავალი საზოგადოებრივი შენობა, რომელთა არქიტექტურა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ხუროთმოძღვრების მიღწევებსაც და ნაკლოვან მხარეებსაც, ავლენს არქიტექტურული ხერხების ძიების გზებს. საზოგადოებრივი შენობები ბევრად განსაზღვრავენ ქალაქის სახეს და ასახავენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს, მის მუდმივ განვითარებას. სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში აშენებული თუ დაპროექტებული საზოგადოებრივი ნაგებობანი, წინა პერიოდთან შედარებით, გამოირჩევა პროფესიული დონით, ფუნქციური, ტექნიკური და მხატვრული ამოცანებისადმი კომპლექსური მიდგომით. (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქმაგის და საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრები, „დინამოს“ სწავრთნელი ბაზა, მაღაზია „ბავშვთა სამყარო“, საზეიმო რიტუალების სასახლე, თეატრი თელავში, სასტუმროები ცხეთასა და ონში და მრავალი სხვა). საზოგადოებრივი შენობების, მათგან წარმოქმნილი ცენტრებისა და კომპლექსების მშენებლობის დარგში ჩვენი შემოქმედებითი პრაქტიკის მთავარ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ამ შენობების ზედმეტი „დამოუკიდებლობა“ უკვე ჩამოყალიბებული გარემოს მიმართ (მასშტაბით, ფორმით, მასალით თუ კომპოზიციური წყობით). ამგვარი შეუთანხმებლობა მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩვენს ქალაქებში ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით კომპოზიციურად შეკრულ ფრაგმენტებს. ამასთან, ბოლო დრომდე საზოგადოებრივი შენობები დაქსაქსულად შენდებოდა. ბოლო დროს (ყოველ შემთხვევაში — პროექტებში) არქიტექტორები ცდილობენ შენობები დაჯგუფონ ფუნქციური ნიშნების მიხედვით (შეცნიერება და განათლება, კულტურა და ხელოვნება და ა. შ.), რაც ანსამბლების შექმნის რეალურ შესაძლებლობას იძლევა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში.

იმ შეშფოთებას, რომ ჩვენმა ხალხმა გულთან ახლოს მიიტანა თბილისის, თელავის, სიღნაღის რეკონსტრუქციის ამოცანები, იმ მოწონებას, რომელსაც საზოგადოების ფართო წრეები გამოხატავენ, საფუძველად უდევს მკაფიოდ გამოხატული ორი ფაქტორი: ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩვენს ქალაქებში შექმნილმა ანალი უბნების ერთფეროვნებამ, შტამპმა, უსასრულო ტირაჟირებამ ინდივიდუალური სახე დაუკარგა ქალაქებს. გარემოცვის მონოტონურობა მექანიკურად იწვევს შინაგან პროტესტს. ამ ფონზე რომანტიკური ეერის უბნების წარმოჩენას არ მოეხდინა მოქალაქეთა ფართო წრეებზე, საზოგადოების ყველა ფენაზე, პროფესიული ინტერესის განურჩევლად, მხატვრული კრიტიკა მოიტანა. ამის გამო მშენებლობა დაქსაქსულია ხოლმე და ამ პირობებში კომპლექსებსა თუ ანსამბლებზე საუბარი უაზრო ხდება. ერთ-ერთი მიზეზი მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ სხვა მიზეზებიც არსებობს. ზოგჯერ გენერალური გეგმის პარამეტრები, ამოსავალი მონაცემები ძალზე შორდება რეალობას.

საქართველოს ქალაქებში აიგო მრავალი საზოგადოებრივი შენობა, რომელთა არქიტექტურა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ხუროთმოძღვრების მიღწევებსაც და ნაკლოვან მხარეებსაც, ავლენს არქიტექტურული ხერხების ძიების გზებს. საზოგადოებრივი შენობები ბევრად განსაზღვრავენ ქალაქის სახეს და ასახავენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს, მის მუდმივ განვითარებას. სამოცდაათიან და მეოცე საუკუნეთა ბოლოს ეროვნული ეკონომიკა ინტენსიურ სფეროში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ისტორიული უბნების რეკონსტრუქციას, ეროვნული, ესთეტიკური ზეგავლენის გარდა, სხვა მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები აქვს. ვგულისხმობ სოციალურ და ქალაქთმშენებლობითს მხარეებს. და კიდევ: თბილისის

ცნობათა დღიური

„ერთი მსახიობის თეატრი“

ამ თეატრს არც მუდმივი დარბაზი აქვს, არც მსახიობთა ანსამბლი, აქ არც არაკადი რაიკინი გამოდის და არც იუმორი და სატირა ისმის სცენიდან. მაგრამ აი უკვე ექვსი წელია, მას არც მაყურებელი აკლია და არც ინტერესი შენელებულა მის მიმართ.

ეს არის „ერთი მსახიობის თეატრი“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტთან არსებობს. ამ თეატრის სცენარისტიც, რეჟისორიც და მსახიობიც საქართველოს რადიოს დიქტორი თინათინ ელბაქიძეა. თეატრის „სპექტაკლები“ — ეს არის ძირითადად ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პუბლიცისტური წერილები და სტატიები, რომლებიც თავისი აქტუალურობით, მოქალაქეობრივი პოზიციებით შეესაბამება ჩვენს დღევანდელობას.

— როცა ამ საღამოებს ვამზადებდი, მიზნად ვისახავდი მხოლოდ ერთს, — გვიპასუხა თინათინ ელბაქიძემ შეკითხვაზე, — გავუძლიერო მაყურებელს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ჯერაც არსებულ მანკიერებასთან ბრძოლის გრძნობა ჩვენი კლასიკოსების შემოქმედების გახსენებით, თუ რამდენად ვაღწევ მიზანს — დაე, ეს მაყურებელმა და მსმენელმა განსაჯოს.

გ. მარკოზაშვილი.

მწყემსები, მწყემსთა შვილები

მამის კვალს გაჰყვება ყაზბეგის საშუალო სკოლის მეათე კლასელი ელგუჯა მარსაგიშვილი. ამ ზაფხულს სიმწიფის ატესტატთან ერთად იგი მწყემსის „დიპლომსაც“ მიიღებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კიდევ ათმა მისმა ამხანაგმა. ზოოტექნიკის საფუძვლები შეტანილია სკოლის პროგრამაში.

— ჩვენი მეურნეობის სპეციფიკა ასეთია: ზამთარში ფარებს გადავრეკავთ ხოლმე ყიზლარის საძოვრებზე — რაიონისაგან ხუთასი კილომეტრის დაშორებით, — გვითხრა ა. ყაზბეგის სახელობის კოლმეურნეობის თაეკჯდომარემ გ. ავსაჯანიშვილმა. — ამ დროს საშუალო კლასებში ბავშვები სწავლობენ აგრონომიისა და ზოოტექნიკის საფუძვლებს, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან უფროსებს ფერმების ტექნიკის შეკეთებაში.

ლ. სულავა,
(საქინფორმის კორ.)

ნარჩენების სიკეთე

ყოველდღიურად 100-120 ტონა ნარჩენებს ითვისებს ნაგავგადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც აგებულია ქალაქ სოჭიდან რამდენიმე კილომეტრზე.

ყოველ საათში ნაგვის დაწვის შედეგად წარმოებაში იღებენ... მილიონობით კალორიას, რაც საკმარისია ოთხმოცბინიანი სახლის გასათბობად. უკვე მიმდინარე წელს ნაგვის გადამუშავების რეალიზაციისაგან ქარხანა მიიღებს მილიონ მანეთამდე მოგებას. ჩვეულებრივი კონსერვის ქილა, თუნუქის სახურავი, სხვა ლითონები — სოჭის სანაგვე ყუთებში ჩაყრილი — ამაოდ არ იკარგება: იგი ქარხნის ღუმელში ბრიკეტებად იკვრება და იგზავება გადასადნობად.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქარხნის თბოელექტროგენერატორს ალექსანდრე ტაჩიუკს, რომელიც დიდ დროს უთმობს სწორედ ასეთი სასარგებლო „ნედლეულის“ დამზადებას.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ვინც „კაღრს მილმა“ რჩება

„ვმონაწილეობდი ქალაქების სტამბოლის, ბომბეის, კაიროს მშენებლობაში...“ — სრული უფლებით ლაპარაკობს თავის თავზე ალექსანდრე ბოლკოვიჩი, რომელიც არასდროს არ გასცილებია საბჭოთა კავშირის ფარგლებს. ქალაქები რას მიქვია! კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საბუთაფორო უბანზე, რომელსაც ალექსანდრე ვოლკოვიჩი ოცი წელია ხელმძღვანელობს, აგებდნენ ზღაპრულ მღვიმეებსაც: ვერცხლისას, ოქროსას, ბრონისას ფილმისათვის „მდუმარების თეთრი ვარდი“. ისინი ახლაც დგანან სახელოსნოში — თითოეულის ფართობი ორ კვადრატულ მეტრს არ აღემატება.

ბევრი რამ შეუძლია გეჩვენოს ალექსანდრე ვოლკოვიჩმა. გვიამბოს, თუ როგორ გადააკეთა სამჯერ ჯვშნიანი მატარებელი ფილმში „ზოია რუხაძე“, ითქოს, რომ ვერაფერი ვერ აბერებდნენ მის აფეთქებას საკერი ადგილს, როგორ „ითხოვეს“ ქაღალდის პეპელა ეფრინა ცნობილ მოკლემეტრაჟიან ფილმში, რა ჯაფა გასწია ამისათვის, რომ დაემზადებინა სვეტიცხოვლის ტაძრის მაკეტი „დიდოსტატის მარჯვენისათვის“... ოცდაათი წელია ვოლკოვიჩი მუშაობს კინოსტუდიაში, და აქ ამ ხნის მანძილზე გადაღებული ფილმებიდან თითოეულში ჩაქსოვილია მისი შრომის წილი.

დ. ბერძენიშვილი,
(საქინფორმი).

ვინც ეოგონეგაეი ცოცხლოგს

„ჩვენს ხალხს ისეთიც ვერ უხაყვდურებდით წინაპართა დავიწყებას, მაგრამ ახლა ახალი სიცოცხლე შეიძინა და მომავლის გაკვეთილებად იქცა ხსოვნის დღე“, — წერდა ამ ორიოდე წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქალთარია. მაშინ ახალი შემოღებული იყო ეს დღე, ხალხი იწონებდა, მხარს უჭერდა ამ საინტერესო სიახლეს. ახლა იგი უკვე ტრადიციაა. ყოველ წელიწადს აპრილის ერთ შაბათ-კვირას ადამიანები ერთხელ კიდევ ახსენებენ ამქვეყნიდან წასულთ, აკითხავენ, უვლიან, ყვავილებით ამკობენ საფლავებს მარადიული ხსოვნის ალსანიშნავად.

ყოველ გაზაფხულზე სარედაქციო ფოსტაში მრავლად მოდის წერილები, რომლებშიც ადამიანები კვლავ და კვლავ იხსენებენ ამათ, ვინც გუშინ თუ გუშინწინ გვერდით იყო, ახლა კი ეს აპრილი უმათოდ მოვიდა, ანდა იმათ, ვისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ათწლეულები გავიდა, მაგრამ მათს ხსოვნას დროთა ხვლამ ვერაფერი დააკლო.

„წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხის მკვიდრნი დღესაც იგონებენ დიდ სამამულო ომში წასული და ვერდაბრუნებული ვაჟკაცების ნათელ ხსოვნას. ასევე წმინდად ინახავენ აქ სოფლის სკოლის პედაგოგის ნესტორ ხურცილავას, ძველი რევოლუციონერის, კოლექტივიზაციის დამკვიდრებისათვის მებრძოლის, წერა-კითხვის აქტიური გამავრცელებლის ავერიონ ქარცხანიძის, მისი ქალიშვილის ცოცილა ქარცხანიძის ხსოვნას, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს სოფლისათვის“, — გვწერს თბილისის № 81 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი სერგო ხურცილავა.

„ალექსანდრე ფარასტაევი ცხინვალელია ერთ-ერთი უყდაზე საყვარელი და სათაყვანებელი კაცი იყო. მის სახელს ახლაც მოწიწებითა და მადლიერებით წარმოთქვამენ“, — გულთბილად იხსენებს ამ შესანიშნავ ექიმსა და მოქალაქეს ცხინვალის რაიონის ჯანდაცვის განყოფილების გამგე დუხუნა ზიზიგავა...

ხსოვნა გულისა ძლიერია.

ყმის სრბოლა ვერაფერს ხდება მასთან.

ადამიანები იხსენებენ ახლობლებს, იმათ, ვინც მოუშუშებელი იარები დატოვა მათ თავიანთი წასვლით, ვინც ნათელი კვალი გაავლო თავისი ცხოვრებით და იმათაც, ვინც ეს ვერ მოახერხა, ვისაც ოცოდე გაზაფხულიდა აკმარა გაწვებამ...

ამ ბარათის ავტორები ახალგაზრდები არიან, სტუდენტები, ისინი, ვისთვისაც ჯერ მეტისმეტად ადრეა სიკვდილის მოურჩენელ ტკივილთან შეხვედრა, ვინც მხოლოდ შედგა ფები ცხოვრების დიდ გზაზე. ისინი ხოცარი სიწრფელითა და გულისტკივილით იგონებენ თანატოლ კახა ძიძიგურს:

„ეს გაზაფხული უშენოდ მოვიდა, კახა! გიყვარდა გაზაფხული, გიყვარდა აყვავებული ნუში და ტყემალი. სიცოცხლე გიყვარდა! ნაადრევად კი გამოეთხოვე მას, მხოლოდ ოცდაერთი, მაგრამ ლამაზი გაზაფხული გარგუნა ბედმა. წახვედი ჩვენგან, მაგრამ შენ ცოცხალი იქნები, სანამ ჩვენ ვიქნებით ამქვეყნად, ჩვენთან იქნები მარად ახალგაზრდა და ლამაზი, ისეთი, როგორიც გვახსოვხარ, მიხაბაძი მაგალითი თითოეული ჩვენგანისათვის!..“ — მარინე, სოსო, ინაურები, მაკა დიასამიძე, აჩიკო გუშიანი, მამუკა კირეულაშვილი.

ძლიერია ხსოვნა გულისა.

ვიხსენებთ ჩვენგან წასულთ და გვტკივა გული, გვტკივა ღიად დარჩენილი იარები და ამით განსაკუთრებულად სათუთი ხდება ხსოვნის დღის ნათელი. ასეა დღეს, ასე იქნება კვლავაც, ტრადიცია გაგრძელდება და ამას უთოდ დაგვიმადლის შთამომავლობა.

სასიკეთოდ დაღვენთილი ცხოვრება

იმ დაუვიწყარ ამაგზე, ქალაქის კულტურულ ცხოვრებას საშვილიშვილოდ რომ დაარნია, მის ქეშმარიტ მოქალაქეობაზე, სათნოებასა და საქმის „ესაზღვრო სიყვარულ-ერთგულებაზე“ დღესაც ლეგენდებს ყვებიან.

აქაკამად გორში პროფესიონალ მხატვართა კარგი პლეადაა. ამ ორმოციოდე წლის წინათ კი აქ ჩვეულებრივი სამხატვრო სკოლაც არ ჰქონდათ.

ანიკო ფერაძემ, მოსე თოიძის ნამოწაფარმა, საყვარელი ქალაქისა და საქმის სოცრად ერთგულმა ქალმა, ამ ძნელი საქმის მოგვარება ითავა.

...ქალაქის № 9 საშუალო სკოლას სარდაფის ტიპის სათავსები ჰქონდა. ანიკო ფერაძემ საკუთარი სახსრებით შეათეთრა მათი კედლები, სინათლე გაიყვანა, საკლასო ოთახებად გადატიხრა, მერხები დადგა და, ამგვარად, ქალაქში სამხატვრო სკოლაც გაახსნევინა.

გორელ მხატვართა დღევანდელი თაობა სწორედ ანიკო ფერაძის მიერ დაარსებულ იმ სკოლაშია ფეხადგმული და დავაჟკაცებული.

მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს.

გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის მხატვარი ი. მჟედლიშვილი: „სკოლა რომ დააარსა, ქალბატონი ანიკო პედაგოგი მხატვრების ძებნას შეუდგა. მახსოვს, იმხანად თბილისში მე და აწ განსვენებულ ცნობილ მხატვარს ალიოშა ვეფხვაძეს შემოგვხვდა და ამ უკანასკნელს გორის სამხატვრო სკოლის პედაგოგობა შესთავაზა. ჯამაგრი რამდენი მექნებაო, ღიმილით ჰკითხა ალიოშამ. ასი მანეთიო, ღიმილითვე უპასუხა ქალბატონმა ანიკომ.

ალიოშა ვეფხვაძე მართლაც კვირაში ორ დღეს ამეცადინებდა ბავშვებს გორის სამხატვრო სკოლაში, ხელფასი კი თვის ბოლოს, როგორც წესი, დირექტორს მოჰქონდა მისთვის ქალაქის „ულტურის განყოფილების ბუღალტერიიდან.

ერთხელ ისე მოხდა, რომ თავად ალიოშა ვეფხვაძე წავიდა ხელფასის ასაღებად. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ნახა, რომ უწყისში მისი გვარის გასწვრივ „60 მან“. ეწერა. დანარჩენ თანხას თურმე სამხატვრო სკოლის დირექტორი საოჯახო ბიუჯეტიდან ამატებდა და ეს არავინ არ იცოდა“.

გორის სამხატვრო სკოლის დირექტორი გ. კუსაშვილი: „ქალბატონი ანიკო ნიჭიერი ბავშვების მოსაძებნად სხვადასხვა რაიონში, სოფელ-სოფელ სიარულსაც არ ერიდებოდა, მახსოვს, საკმაოდ მოზრდილი ვიყავი, როდესაც ამ სამხატვრო სკოლაში ხაშურის საბავშვო სახლიდან მომიყვანეს. დირექტორმა თუმცა ნახატები მომიწონა, ჩემი სწავლის საკითხი მაინც სათუო გახდა — სწავლა ფასიანი იყო და მე ფულის გადახდა, აბა, საიდან შემეძლო. ქალბატონმა ანიკომ დამამშვიდა: „შენ ისწავლე, იბეჭითე და სწავლის ფულს მე გადავიხდიო“.

სიყვარულსა და სათნოებას უშენებია ფერაძეების ოჯახიო, აშბობენ ქალაქში. ასეც იყო. ყველა იცნობდა ექიმ ვლადიმერ ფერაძეს, „აცთმოყვარე და განათლებულ ადამიანს. სამი შვილი აღუზარდეს ფერაძეებმა ქვეყანას. ლიანა ქალაქის საშუალო სკოლის პედაგოგია, ომარი — რაიონის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი, თამაზი ლენინგრადში ცხოვრობს, საქვეყნოდ ცნობილი პასტერის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია.

მ. ცხადაძე, გორის სამხატვრო სკოლის აღზრდილი, ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული: „ჩემს მოსწავლეებს ვიდრე შუქ-ჩრდილის კანონებს შევასწავლიდე, ჯერ ადამიანურობის კანონებზე, სიკეთის ქმნის დიდ ხელოვნებაზე ვესაუბრები, და როგორც ცოცხალ მაგალითზე, ისე ეუამბობ მათ ქალბატონ ანიკო ფერაძეზე“.

ბ. პაპონდოპულსი, მოსკოველი მხატვარი: „1961 წელს გორის სამხატვრო სკოლის პირველი გამოშვების ხუთმა კურსდამთავრებულმა თბილისის სამხატვრო აკადემიას მიგამურეთ. ქალბატონ ანიკო ფერაძის სიკეთისა და მზრდელობის წინააღმდეგ